შ.პ.ს. „კოდორი“ **KODORI** LTD "KODORI"

ქ. თბილისი
№03/21/23

შპს თბილისის ენერჯის-ს
ტექ.დირექტორს

**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს**
**ქალბატონ თამარ ფიცხელაურს**

**ქალბატონო თამარ,**

გაცნობებთ, რომ შპს „კოდორი“ (ს/კ 400215101), შპს „ემ კუბთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გეგმავს მიწის სამშენებლო ფართზე (01.13.05.001.111/132) გამავალი სს „თელასის“ საკუთრებაში არსებული 110 კვ-ის ელექტროგადამცემი ხაზის „ღრმაღელე“ (ს.კ.01.01.180) #1 და #2 საყრდენების მონაკვეთზე საკაბელო ჩანაცვლებას საკაბელო მონაკვეთით #1 და #2 საყრდენებს შორის. აღნიშნული საკითხი შეთანხმებულია სს „თელასთან“.

ადმინისტრაციულად საპროექტო 110 კვ-ს საკაბელო ხაზის ტრასა მდებარეობს ქ. თბილისში, სამტრედიის ქუჩა #50. 110 კვ საკაბელო ხაზის საწყისი პუნქტი არის საპროექტო საყრდენი №1, საბოლოო პუნქტი საყრდენი №2. ტრასის საერთო სიგრძე - 139 მ.

**ვინაიდან, კომპანიის დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-3 პუნქტის, 3.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა სკრინინგის ანგარიში.**

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

ქ.თბილისი, თემქა მე-4 კვ. კ 1..ბ.12
Email: kodori197@gmail.com, ტელ: 568800666

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
«11» 04 2023
№ 3092

დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია shape ფაილებთან ერთად;

ქ. თბილისის მერიის წერილი

პატივისცემით

ვლადიმერ კვარაცხელია
დირექტორი